საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

კოალიცია
დამოუკიდებელი
და გამჭვირვალე
მართლმსაჯულებისთვის
Coalition for
an Independent and
Transparent Judiciary

# კოალიციის განცხადება პროკურატურის რეფორმაზე ვენეციის კომისიის წინასწარ დასკვნასთან დაკავშირებით

ამა წლის 7 ივლისს გამოქვეყნდა ვენეციის კომისიის, ევროპელი პროკურორების საკონსულტაციო საბჭოს (CCPE) და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) წინასწარი დასკვნა Ḍ□□□□□□□□□□□□ შესახებ □ საქართველოს კანონში ცვლილებების პროექტთან დაკავშირებით. აღნიშნული დასკვნის გამოქვეყნებამდე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული და მთავრობის მიერ მოწონებული საქართველოს პროკურატურის სისტემის რეფორმირების კანონპროექტი შეფასდა კოალიციის Ḍ□□□□□□□□□□□□ და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის □ მიერ. ასევე, კოალიციას შესაძლებლობა ჰქონდა, პროკურატურის რეფორმასთან დაკავშირებით ვენეციის კომისიისათვის ვრცელი დასკვნა წარედგინა.

ჯ. კახიძის #15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 95 23 53; ფაქსი: (995 32) 92 32 11; ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge
15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 95 23 53; Fax: (995 32) 92 32 11; E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

ვენეციის კომისიის, ევროპელი პროკურორების საკონსულტაციო საბჭოს (CCPE) და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) წინასწარ დასკვნაში (შემდგომში: წინასწარი დასკვნა) აღნიშნულია, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ დაწყებული პროკურატურის რეფორმა სწორი მიმართულებით მიმდინარეობს, თუმცა, ხაზგასმულია, რომ შემოთავაზებული რეფორმა ჯერ-ჯერობით სრულად ვერ უზრუნველყოფს ხელისუფლების მიერ გაცხადებული მიზნის მიღწევას, მოხდეს პროკურატურის სისტემის სრული დეპოლიტიზება. წინასწარ დასკვნაში მოცემულია რეკომენდაციები, რომლებიც დიდწილად ემთხვევა კოალიციის Ḍ□□□□□□□□□□□□□□ და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის □ მიერ მომზადებულ დასკვნას და კოალიციაში შემავალი ორგანიზაციების შეფასებებს, რომ პროკურატურის სისტემის დეპოლიტიზებისთვის შემოთავაზებული რეფორმა არასაკმარისია და ვერ უზრუნველყოფს ამ მიზნის მიღწევას.

გვსურს, კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვათ წინასწარ დასკვნაში მოცემულ ძირითად შენიშვნებსა და რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია პროკურატურის სისტემაში რეალური რეფორმის გასატარებლად:

1.მთავარი პროკურორის დანიშვნის პროცედურა არ არის დაბალანსებული ლეგიტიმურობისა და აპოლიტიკურობის თვალსაზრისით და პოლიტიკური ელემენტი დანიშვნის პროცესში კვლავ პრევალირებს. შესაბამისად, მთავარი პროკურორის დანიშვნის პროცესზე პოლიტიკური ძალების, მთავრობისა და საპარლამენტო უმრავლესობის გავლენა უნდა შემცირდეს;

2.იუსტიციის მინისტრის დისკრეციული უფლებამოსილება, წარუდგინოს საპროკურორო საბჭოს მთავარი პროკურორის კანდიდატურა, უნდა დაბალანსდეს. ერთი მხრივ, მთავარი პროკურორის კანდიდატურისათვის აუცილებელი პროფესიული და გამოცდილების მოთხოვნები უნდა დაწესდეს, ხოლო მეორე მხრივ, იუსტიციის მინისტრს უნდა დაუწესდეს ვალდებულება, წარუდგინოს საპროკურორო საბჭოს მთავარი პროკურორის არა ერთი, არამედ რამდენიმე კანდიდატურა და შემდეგ საპროკურორო საბჭომ წარდგენილ კანდიდატთაგან ერთ-ერთი შეარჩიოს;

3.წინასწარი დასკვნა ხაზს უსვამს საპროკურორო საბჭოს შექმნის მნიშვნელობასა და დადებით მხარეებს, თუმცა, ასევე ყურადღებას ამახვილებს საპროკურორო საბჭოს შემოთავაზებული მოდელის ნაკლოვანებებზე. საკითხი შეეხება საპროკურორო საბჭოს დამოუკიდებლობასა და შექმნის წესს. კერძოდ:

- შემოთავაზებული მოდელით ბუნდოვანია საპროკურორო საბჭოს ინსტიტუციური სტატუსი, აღნიშნული უწყების და მისი წევრების დამოუკიდებლობის ხარისხი. საპროკურორო საბჭოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში ყოფნა არ შეესაბამება საპროკურორო საბჭოს შექმნის მთავარ მიზანს, უზრუნველყოს პროკურატურის სისტემის დეპოლიტიზება და დამოუკიდებლობა აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან. საპროკურორო საბჭოს დამოუკიდებლობას ასევე ეჭვქვეშ აყენებს ისიც, რომ საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარეობს იუსტიციის მინისტრი. წინასწარი დასკვნა შეიცავს რეკომენდაციას, რომ საბჭოს თავმჯდომარე აირჩეს თავად საბჭოს მიერ.

- საპროკურორო საბჭოს ფორმირებაში ფართო პოლიტიკური მონაწილეობის პირობებში, წინასწარ დასკვნაში ყურადღება გამახვილებულია ამგვარი პოლიტიკური მონაწილეობის უარყოფითი გავლენის შემცირების მექანიზმების შექმნის აუცილებლობაზე. კერძოდ, საპროკურორო საბჭოს შემადგენლობაში პროფესიული და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობის გაზრდაზე. ასევე, დასკვნაში ყურადღება გამახვილებულია იმ ფართო უფლებამოსილებებზე, რომლებიც კანონპროექტით იუსტიციის მინისტრს, როგორც საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარეს, აქვს (თავმჯდომარეობს საპროკურორო საბჭოს სხდომებს, წარადგენს მთავარი პროკურორობის კანდიდატს, ხმას აძლევს მის მიერ წარდგენილ კანდიდატს და სხვა) და ხაზგასმულია ამ უფლებამოსილებების შემცირების საჭიროება.

- კანონპროექტი ითვალისწინებს საპროკურორო საბჭოს 4 წევრის არჩევას პარლამენტის მიერ ხმათა უბრალო უმრავლესობით. წინასწარ დასკვნაში აღნიშნულია, რომ შემოთავაზებული პროექტით მმართველ პოლიტიკურ ძალას საპროკურორო საბჭოში ეყოლება უმრავლესობა (9-დან 5 წევრი). ამის გათვალისწინებით, დასკვნაში უარყოფითადაა შეფასებული საპროკურორო საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი საბჭოს წევრთა უბრალო უმრავლესობით, რაც შესაძლებლობას მისცემს მმართველი პოლიტიკური ძალის მიერ არჩეულ საბჭოს წევრებს, არსებითი გავლენა მოახდინონ საბჭოს მიერ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაზე (მაგ. მთავარი პროკურორის კანდიდატურის დამტკიცება).

- ადებითად არის შეფასებული სამოქალაქო საზოგადოების და აკადემიური წრეების ორი წარმომადგენლის მონაწილეობა საპროკურორო საბჭოში, როგორც საბჭოს დეპოლიტიზების ერთ-ერთი მექანიზმი. თუმცა, აღნიშნულია, რომ საპროკურორო საბჭოს დაკომპლექტება სამოქალაქო საზოგადოების და აკადემიური წრეების წარმომადგენელებით უნდა იყოს გამჭვირვალე და დადგინდეს კონკრეტული

კრიტერიუმები, თუ ვის ექნება ამ ორი წევრის წარდგენის უფლება.

3.წინასწარი დასკვნის თანახმად, საჭიროა, დაიხვეწოს პროკურორთა კონფერენციის მიერ საპროკურორო საბჭოში პროკურორების არჩევის წესიც. კერძოდ, პრობლემურია საპროკურორო საბჭოს პროკურორი წევრების ნომინირების უფლებამოსილების მინიჭება მხოლოდ პროკურატურის თანამდებობის პირებისათვის - დეპარტამენტების უფროსებისათვის. საჭიროა, უზრუნველყოფილ იქნეს პროცესის ღიაობა და ნომინირების პროცესში ყველა დონის პროკურორის მონაწილეობა.

4.წინასწარ დასკვნაში დეტალურად არის აღწერილი მთავარი პროკურორის თანამდებობიდან განთავისუფლების პროცედურის ბუნდოვანი მხარეები და რეკომენდებულია აღნიშნული პროცესის დახვეწა იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთავარი პროკურორის რეალური ანგარიშვალდებულება.
5.წინასწარი დასკვნის თანახმად, კანონპროექტი საკმარისი სიცხადით არ კრძალავს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ინდივიდუალური სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების საკითხებში ჩარევას და, შესაბამისად, საჭიროა დაიხვეწოს.
ვფიქრობთ, წინასწარ დასკვნაში გამოთქმული შენიშვნების გააზრებას და რეკომენდაციების გათვალისწინებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება საქართველოში პროკურატურის სისტემის დეპოლიტიზებისა და მისი სათანადო დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისთვის, ისევე, როგორც პროკურატურის სისტემაში დაწყებული რეფორმის წარმატებით განხორციელებისთვის. ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს ხელისუფლება გაითვალისწინებს როგორც ვენეციის კომისიის ღირებულ რეკომენდაციებს, ასევე სამოქალაქო საზოგადოების შენიშვნებსა და წინადადებებს პროკურატურის სისტემაში რეალური რეფორმის განხორციელების თაობაზე.